

პოლიტიკის ნარკვევი

**იტალიის საგარეო პოლიტიკა:
აღმოსავლეთ კარტნიორობის
ინისტიტუტის და საქართველო**

მარკო სიდი

თბილისი
2017



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

იტალიის საგარეო პოლიტიკა: აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და საქართველო

მარკო სიდი¹

2000-იანი წლებიდან მოყოლებული ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში იტალიის ეკონომიკური და დიპლომატიური ჩართულობა გაიზარდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან სავაჭრო და დიპლომატიური კავშირების გაფართოება თან დაერთო იტალიის ხანგრძლივ ურთიერთობას მოსკოვთან, რომელიც კვლავ გრძელდება, მიუხედავად ამჟამინდელი პოლიტიკური კრიზისისა და რუსეთსა და ევროკავშირს შორის დაწესებული ეკონომიკური სანქციებისა. იტალიამ მხარი დაუჭირა ევროკავშირს სამეზობლო პოლიტიკას (ესპ), რომელიც რეგიონის მიმართ იტალიის მიდგომის მნიშვნელოვან ჩარჩოს წარმოადგენს. განსაკუთრებით კი უკრაინის კრიზისის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, იტალიამ ერთდროულად დაიწყო, ერთი მხრივ, ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან კოორდინაციის გაძლიერება პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირებული პოლიტიკის მიმართულებით და, მეორე მხრივ, ევროკავშირის შიგნით საკუთარი ხედვებისა და ინტერესების ადვოკატირება.

იტალიის საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთ სამეზობლოს მიმართ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის გამოა შეზღუდულია: უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტში მიმდინარე მოვლენები და მათი გავლენა იტალიაზე, როგორც ხმელთაშუა ზღვის ქვეყანაზე; იტალიის რესურსები და შესაძლებლობები ადაპტირდეს სწრაფად განვითარებად საერთაშორისო გარემოში; და საშინაო პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია. 2010-იან წლებში, ჩრდილოეთ აფრიკის დესტაბილიზაციამ, საერთაშორისო ტერორიზმის გაძლიერებამ და ლტოლვილთა კრიზისმა დააჩქარა ცივის ომის შემდგომ დამყარებული წესრიგის ტრანსფორმაცია და გამოწვევების წინაშე დააყენა იტალიის მთავარი საგარეო პოლიტიკა, რომლის პრიორიტეტიც ხმელთაშუა ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაა. ამ სიტუაციას დაემატა რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებაც, რომლის შენარჩუნებაც იტალიის პოსტსაბჭოთა სივრცისადმი მიდგომის მთავარ ღერძს წარმოადგენს. ყველაფერთან ერთად, ხსენებული ახლადწარმოშობილი საერთაშორისო გამოწვევები გამოიკვეთა სწორედ მაშინ, როდესაც იტალია ეკონომიკური პრობლემებისა და პოლიტიკური გაურკვევლობის წინაშე დგას.

იტალიის როლი აღმოსავლეთ სამეზობლოში მეტწილად ამ ვრცელ კონტექსტზეა დამოკიდებული და მისი სრულყოფილად აღქმა ვერ მოხდება ფართო საერთაშორისო

¹ უფროსი მკვლევარი მეცნიერ-მუშაკი, საერთაშორისო ურთიერთობების ფინური ინსტიტუტი, ევროკავშირის კვლევის პროგრამა, Marco.Siddi@fiia.fi, ვებგვერდი: http://www.fiia.fi/en/expert/183/marco_siddi/.

სურათში ქვეყნის მიერ დაკავებული პოზიციის განხილვის გარეშე.² შესაბამისად, წინამდებარე ანალიზი იწყება კონტექსტის მიმოხილვით. შემდეგ იგი კონცენტრირდება რომის ამჟამინდელ მიდგომაზე აღმოსავლეთ სამეზობლოსა და რუსეთის მიმართ, ხოლო დასასრულს, წარმოდგენილია იმ ცვლილებებისა და მოვლენათა განვითარების მიმოხილვა, რაც შესაძლოა მოჰყვეს 2018 წლის იტალიის არჩევნებს.

იტალიის საგარეო პოლიტიკა: გამოწვევები და პრიორიტეტები

ორ ათწლეულზე მეტია, იტალიის საგარეო პოლიტიკა ცივი ომის დასრულების შედეგად გამოწვეულ სირთულეებთან ადაპტაციის ამოცანის წინაშე დგას. ცივი ომის პერიოდში, იტალიის საგარეო პოლიტიკის განვითარების ერთადერთი რეალური გზა ნატოში ქვეყნის პროფილის გაძლიერება იყო, რათა აშშ-სა და მის მთავარ ევროპულ მოკავშირეებს ეღიარებინათ იტალიის ინტერესები. იტალიის მომდევნო მთავრობებიც მეტწილად ამ პოზიციას იცავდნენ 1990-იანი და ადრეული 2000-იანი წლების უნიპოლარულ კონტექსტში. თუმცადა, აღმოსავლეთ-დასავლეთის იდეოლოგიური დაპირისპირების დასრულებამ და დასავლური საზოგადოების ექსპანსიამ ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების გზით, გამოიწვია იტალიის ტრადიციულ მოკავშირეთა სისტემაში³ სხვადასხვა პრიორიტეტების გაერთიანება. შედეგად, 2000-იან წლებში იტალია აღმოჩნდა წნეხის ქვეშ, მონაწილეობა მიეღო ტერიტორიის გარეთ ჩატარებულ ისეთ სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც ნაკლებად ეხმიანებოდა იტალიის იმდროინდელ გადაუდებელ ინტერესებს.

ეს გამოწვევა წარმოიშვა იტალიის მსოფლიოზე გავლენის თანდათან შემცირების ფონზე, რაც თავის მხრივ მეტად ფოკუსირებულ საგარეო პოლიტიკას მოითხოვდა.⁴ შექმნილ ვითარებაზე რომის ლოგიკური რეაგირება კი ევროკავშირის პარტნიორებთან თავისი რესურსების კოორდინირება და შერწყმა იყო. ამ სტრატეგიამ გაამართლა იმ კონტექსტში, სადაც ინტერესები დაემთხვა (მაგალითად აღმოსავლეთ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავება), ხოლო ნაკლებად იქ, სადაც არსებობდა განსხვავებები (ურთიერთობები რუსეთთან, ესპ-ს რესურსების წარმართვა აღმოსავლეთ ან სამხრეთ სამეზობლოსკენ). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ევროკავშირში იტალიის ხმას კონკურენტი ხმები ზღუდავენ, რომლებსაც შესაძლოა უფრო მეტი წონაც მიენიჭოს, თუ მხარს დიდი კოალიციები ან გავლენიანი წევრი ქვეყნები, როგორცაა გერმანია და საფრანგეთი, დაუჭერენ.

² Silvia Francescon, 'Italy and the Eastern Partnership: the view from Rome', European Council on Foreign Relations, 19 May 2015,

http://www.ecfr.eu/article/commentary_italy_and_the_eastern_partnership_the_view_from_rome3034

³ იხილეთ Federico Romero (2016), 'Rethinking Italy's Shrinking Place in the International Arena', *The International Spectator*, Issue 51, No. 1, pp. 1-3 and 7-9,

<http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/03932729.2016.1108613>.

⁴ Anna Caffarena and Giuseppe Gabusi (2017), 'Making sense of a changing world: foreign policy ideas and Italy's national role conceptions after 9/11', *Italian Political Science Review* Issue 47, No. 2, pp. 143-145,

<https://doi.org/10.1017/ipo.2017.5>.

2010-იან წლებში შექმნილმა არასასურველმა გარემოებებმა ნათლად წარმოაჩინა ასეთი მიდგომის სისუსტეები. ლიბიის სამოქალაქო ომმა, სამხრეთ სამეზობლოში არსებულმა არასტაბილურობამ და ლტოლვილთა კრიზისმა ხაზი გაუსვა ამ რეგიონის მიმართ იტალიის საგარეო პოლიტიკის რესურსების გადახედვის აუცილებლობას, განსაკუთრებით, აღნიშნული მოვლენების გავლენის გამო ქვეყნის შიდა პოლიტიკასა და უსაფრთხოებაზე. ამ კონტექსტში, რომმა შეზღუდული სოლიდარობა მიიღო საკუთარი პარტნიორებისგან ევროკავშირიდან ლტოლვილთა კრიზისთან ბრძოლაში. რაც შეეხება ლიბიას, ზოგიერთი წევრი ქვეყანა (ყველაზე მეტად აღსანიშნავია საფრანგეთი) ხშირად, როგორც ჩანს, პარალელურ დღის წესრიგს მიჰყვება თავისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. დამატებით, ევროკავშირის აღმოსავლელ წევრ ქვეყნებს ნაკლებად აქვთ სურვილი, რომ ევროკავშირმა რესურსები სამხრეთ სამეზობლოსკენ მიმართოს, რადგანაც ამ რეგიონში მათ ნაკლები სტრატეგიული ინტერესები გააჩნიათ, და ამის ნაცვლად, ურჩევნიათ, ფოკუსირდნენ ისევ რუსეთის მიმართ კონფრონტაციულ პოლიტიკაზე, რომელიც იტალიის პრორიტეტებს არ შეესაბამება. ამ სიტუაციას კი ამწვავებს ევროკავშირის რესურსების შემცირება ბრექსიტის შემდეგ და აშშ-ის მიერ ჩრდილოეთ აფრიკიდან თანდათანობით გამოსვლა.

იტალიელ პოლიტიკოსებს შემქნელებს ასევე უწევთ საზოგადოებაში არსებულ გარკვეულ ტენდენციებთან დაპირისპირება. ბოლოდროინდელი კვლევის⁵ მიხედვით, იტალიელებისთვის მთავარი საფიქრალი საგარეო პოლიტიკის კუთხით არის იმიგრაციისა და ეროვნული საზღვრების უსაფრთხოება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი საუკეთესო პლატფორმად აღიქმება ეროვნული ინტერესების გასატარებლად, იმ იტალიელების წილი, ვისაც სწამს, რომ ევროკავშირის შიგნით არსებული განსხვავებები იმდენად დიდია, რომ ვერ მოხდება გაერთიანებული ევროპული პოზიციის ჩამოყალიბება, 45 %-მდე გაიზარდა (მხოლოდ 27% ფიქრობს საპირისპიროს). უფრო მეტიც, იტალიელები ხშირად სკეპტიკურად არიან განწყობილი რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის ამჟამინდელი სანქციების მიმართ: გამოკითხულთა 53% ფიქრობს, რომ სანქციები ან უნდა შემსუბუქდეს ან მოიხსნას, მაშინ როცა 38% ფიქრობს, რომ ისინი უნდა შენარჩუნდეს, ხოლო კიდევ 9%-ს სურს უფრო მკაცრი სანქციები. მეორე მხრივ, 77%-ს სჯერა, რომ იტალიამ უნდა ითანამშრომლოს რუსეთთან ტერორიზმთან ბრძოლაში, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის სხვა ასპექტებთან შედარებით, გადაუდებელი პრიორიტეტულობით ხასიათდება. იტალიის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ სწორედ ასეთ რთულ საერთაშორისო კონტექსტში იქმნება და ხორციელდება.

იტალიის აღმოსავლეთ პოლიტიკა: ესპ და რუსეთი

იტალიის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რუსეთს, რომელიც ენერჯის მნიშვნელოვან მიმწოდებელსა და კომერციულ პარტნიორს წარმოადგენს. „პირველ რიგში, რუსეთის“

⁵ Gli italiani e la politica estera, 2017, http://www.iai.it/sites/default/files/laps-iai_2017.pdf.

მიდგომა ნაწილობრივ დაბალანსებულ იქნა სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სავაჭრო ჩართულობის გზით. საქართველო ამისი კარგი მაგალითია: 2009-2016 წლებში ორმხრივი ვაჭრობა 121.4 მილიონი ევროდან 303.4 მილიონ ევრომდე გაიზარდა. საქართველოში ინვესტიციები განახორციელეს ისეთმა დიდმა იტალიურმა კომპანიებმა, როგორცაა ფერეროს ჯგუფი, საიპემი და სალინი იმპრეჯილო. საქართველოსთვის იტალია არის რიგით მეოთხე ყველაზე დიდი ევროპული სავაჭრო პარტნიორი, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით - მეათე.⁶ 2015 წლის მონაცემებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის იტალია ევროკავშირიდან მესამე ეკონომიკური პარტნიორი სიდიდით იყო, გერმანიისა და პოლონეთის შემდეგ.⁷

სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება გამოიწვია რეგიონში ევროკავშირის მზარდმა ჩართულობამ - რაც, საქართველოს შემთხვევაში, 2014 წლის ივნისში ასოციაციის ხელშეკრულების ხელის მოწერით დაგვირგვინდა, რომელიც მოიცავდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის დაარსებას. ასევე, 2008 წლის საქართველო-რუსეთი ომის შემდეგ, ევროკავშირი აგრძელებს შეუიარაღებელი სამოქალაქო მონიტორინგის მისიას საქართველოში (ცნობილია, როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, ესმ), რომელშიც იტალიაც მონაწილეობს. ევროკავშირსა და იტალიას არაერთხელ გამოუხატავთ თავიანთი მარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. იტალიის გადმოსახედიდან, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება, უარყოფითად არ უნდა აისახებოდეს რუსეთთან ურთიერთობებზე. იტალიელები ეწინააღმდეგებიან იმ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ პარტნიორობა მოსკოვთან გეოპოლიტიკური შეჯიბრის ინსტრუმენტად აღიქმება.

შესაბამისად, რუსეთთან ურთიერთიერთობა იტალიის სტრატეგიულ პრიორიტეტად რჩება.⁸ ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია ენერგეტიკის სფეროში ხანგრძლივი პარტნიორობითა და სავაჭრო ურთიერთობებით. იტალიისთვის რუსეთი მნიშვნელოვანი და სანდო ენერგო-მიმწოდებელი იყო ათწლეულების განმავლობაში. დიდ იტალიურ ენერგოკომპანია ენი-ს ახლო ურთიერთობები აქვს რუსეთის გაზპრომთან და ახლა როსნეფტთან პარტნიორობის განვითარების პროცესშია (დიდი ალბათობით, იმ მიზნით, რომ გამოიყენოს დიდი ზორის გაზის საბადო ხმელთაშუა ზღვაში). სამხრეთის ნაკადის მილსადენის პროექტის გაუქმების მიუხედავად, იტალიური კომპანიები, როგორცაა ედისონი და ენი, მაინც ინარჩუნებენ ინტერესს რუსული გაზის ევროპაში ექსპორტირების მიზნებისთვის სამხრეთის მარშრუტის შექმნაში. ამავდროულად, იტალია ასევე მხარს უჭერს სამხრეთ გაზის დერეფნის შექმნას, როგორც აზერბაიჯანული გაზის თურქეთისთვის, საბერძნეთისა და იტალიისთვის მიწოდების ალტერნატიულ გზას სამხრეთ კავკასიის გავლით (სადაც საქართველო მთავარი ტრანზიტული ქვეყანა იქნება).

⁶ Trade between Italy and Georgia, 2009-2016,

http://www.ambtbilisi.esteri.it/ambasciata_tbilisi/resource/doc/2017/05/dati_statistici_2009-2016.pdf.

⁷ Il Sole 24 Ore, 21 მაისი 2015, <http://www.ilsole24ore.com/art/mondo/2015-05-21/a-riga-vertice-europeo-partenariato-orientale-i-temi-caldi-russia-e-crisi-ucraina--092943.shtml?uuid=ABltg3jD>

⁸ იბილეთ, Marco Sidi (2016) 'Privileged partners? Italy should use its leverage for constructive policies towards Russia', Briefing Paper 197, Helsinki: Finnish Institute of International Affairs, http://www.fiia.fi/en/publication/598/privileged_partners/.

იტალიის ინტერესი, რომ შეინარჩუნოს რუსეთთან ურთიერთობები ასევე ეფუძნება ბოლოდროინდელ ფაქტორებსაც, რომელთა შორისაც აღსანიშნავია მოსკოვის განახლებული აქტივიზმი ხმელთაშუაზღვის რეგიონში. რუსეთს შეუძლია დაასტაბილუროს ლიბია როგორც უშუალოდ, გენერალ ხალიფა ჰაფთართან კავშირების გამოყენებით, ისე არაპირდაპირ, ეგვიპტესთან მისი სამხედრო და პოლიტიკური კავშირების მეშვეობით. დამატებით, რუსეთის მხარდაჭერა და თანხმობა იქნება საჭირო ლიბიასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს მომავალი რეზოლუციებისთვის. ეს არის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი, რატომაც 2016 წლის ოქტომბერში იტალია (ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად) შეეწინააღმდეგა რუსეთისთვის სანქციების დაწესებას სირიის კრიზისში მისი ჩართულობისა და აქედან გამომდინარე, ხმელთაშუაზღვის რეგიონში შექმნილი პოლიტიკური კონტექსტის საპასუხოდ.

მართალია იტალია არ არის უშუალოდ წარმოდგენილი უკრაინის კრიზისთან დაკავშირებული მოლაპარაკების ძირითად ფორმატში („ნორმანდიის ოთხეული“), მაგრამ მას აქვს ხშირი კონტაქტი რუსეთთან და უკრაინასთან უმაღლესი დონის ოფიციალური ვიზიტების მეშვეობით.⁹ როგორც ეს 2008 წლის აგვისტოს შემდგომდროინდელ პერიოდში იყო, იტალიის პოლიტიკა ხაზს უსვამს, რომ უკრაინის კრიზისის მოგვარება მხოლოდ მოლაპარაკებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების (განსაკუთრებით, მინსკი II) დაცვითაა შესაძლებელი. ამ პოზიციის საფუძველი კი ის მოსაზრებაა, რომ სტაბილური პანევროპული უსაფრთხოება მხოლოდ რუსეთის მონაწილეობით შეიძლება, იქნეს მიღწეული, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოურ სივრცეში.

იტალიის 2018 წლის არჩევნები და სამომავლო პერსპექტივები

მოკლევადიან პერსპექტივაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იტალიის საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარე გამოწვევები შეიცვალოს, იქნება ეს ხმელთაშუაზღვის რეგიონის (არასტაბილურობასთან ბრძოლა, ლიბიის სამოქალაქო ომი), თუ აღმოსავლეთ სამეზობლოს (რუსეთთან ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება ევროკავშირისა და ესპ-ს დღის წესრიგის ფონზე) კონტექსტში. მიუხედავად ამისა, შეიძლება გარკვეულწილად შეიცვალოს ამ გამოწვევებთან გამკლავების სტრატეგიები, იმის მიხედვით, თუ როგორ მოხდება ახალი მთავრობის დაკომპლექტება, საპარლამენტო არჩევნების გზით (რომელიც 2018 წლის მაისში გაიმართება). ამას, შესაძლოა, გარკვეული გავლენა ჰქონდეს რუსეთის მიმართ იტალიის საგარეო პოლიტიკაზე. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იტალიის პოზიცია აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების მიმართ (რომლის ფოკუსიც ეკონომიკური და თანამშრომლობის სხვა ფორმების გაღრმავებაა) არსებითად შეიცვალოს.

ჯერჯერობით, იტალიის პოლიტიკურ ძალებს სრულად არ განუმარტავთ თავიანთი საგარეო პოლიტიკის პროგრამა. თუმცა, როგორც ჩანს, „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა“ და „ჩრდილოეთ ლიგა“ უფრო მეტად პრო-რუსულ პოზიციას დაიჭერს და ევროკავშირის

⁹ 2017 წლის პირველ ნახევარში, პრეზიდენტი სერჯო მატარელა და პრემიერ მინისტრი პაოლო ჯენტილონი შეხვდნენ პუტინს რუსეთში.

სანქციების გაუქმების კამპანიასაც კი წამოიწყებენ. ორივე პარტიას სურს ტერორიზმის წინააღმდეგ (რუსეთთან ერთად) ბრძოლა აქციოს მთავარ პრიორიტეტად და აინაზღაუროს ამ სანქციების შედეგად მიღებული ზარალი. „ხუთი ვარკვლავის მოძრაობის“ მხარდამჭერებს, ასევე, სურთ რომ შემსუბუქდეს ნატოს წინაშე არებული ვალდებულებები და მხარს უჭერენ უფრო მრავალმხრივ (და არა მხოლოდ „პროდასავლურ“) მიდგომას.¹⁰ ორივე პარტია მოიპოვებს ხმათა რაოდენობის მნიშვნელოვან ნაწილს; ბოლო გამოკითხვების მიხედვით, „ხუთი ვარკვლავის მოძრაობა“ ყველაზე დიდი პარტია იქნება პარლამენტში (თუნდაც ძალიან მცირე უმრავლესობით, დაახლოებით ხმათა 28%-ის შემთხვევაში), ხოლო „ჩრდილოეთის ლიგა“ კი მესამე ადგილს დაიკავებს.¹¹ თუმცა, იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაშიც კი, თუ ისინი კოალიციას შექმნიან, იტალიის საგარეო პოლიტიკის რადიკალურად შეცვლის შესაძლებლობა მაინც ეჭვქვეშ დგას, რისი მიზეზიც მეტწილად მათი შესაბამისი გამოცდილების ნაკლებობა და იტალიის საერთაშორისო ვალდებულებებია.

დანარჩენი ორი ძირითადი პარტიის, ამჟამად მმართველი დემოკრატიული პარტიის და სილვიო ბერლუსკონის „ფორცა იტალიას“ პოზიცია ნიუანსებშია განსხვავებული. ორივეს ურჩევნია რუსეთთან ურთიერთობის დალაგება და სხვა სტრატეგიულ გამოწვევებზე კონცენტრირება - განსაკუთრებით კი ბერლუსკონის, რომელიც პირადად პუტინის მეგობარია. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ რომელიმე პარტიამ მოახერხოს რუსეთის მიმართ ევროკავშირის ზოგადი მიდგომა შეარყიოს. უფრო მეტად, ალბათ, ისინი შეეცდებიან ევროპული დებატები იტალიის მიზნების სასარგებლოდ მომართონ, რაც სხვა პრიორიტეტებთან ერთად აღმოსავლეთ ევროპაში დამაბულობის დეესკალაციასა და მოსკოვთან ურთიერთობის დარეგულირებას გულისხმობს.

დასკვნა

იტალიის საგარეო პოლიტიკა მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა უმრავლესობაც მის ხმელთაშუაზღვის სამეზობლოშია თავმოყრილი. ახლო მომავალში, იტალიის დიპლომატიური და პოლიტიკური ძალისხმევა ძირითადად ამ რეგიონზე იქნება მიმართული. თუმცა, ამასთან ერთად, შესაძლოა, მოხდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში იტალიის მზარდი ჩართულობის შეთავსებაც, განსაკუთრებით, ეკონომიკურ ასპექტში. სამხრეთ სამეზობლოს არასტაბილურობამ შესაძლოა იტალიელ ბიზნესებსა და ინვესტორებს უზიძვოს ახალი შესაძლებლობის მოძიებისკენ ახლო-მახლო ბაზარზე, როგორცაა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები. ეს ასახულია, მაგალითად, იტალიის მიერ ენერჯის მზარდ იმპორტში კასპიის რეგიონიდან, რადგანაც ჩრდილოეთ აფრიკიდან მიწოდება ნაკლებად გარანტირებულია. იტალიის მომდევნო მთავრობა, დიდი ალბათობით, ეცდება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ამ კუთხით ურთიერთობები რუსეთთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან, არ აღიქმება,

¹⁰ 'L'agenda di politica estera di M5S in 10 punti', 6 April 2017, https://www.agi.it/politica/laagenda_di_politica_estera_di_m5s_in_10_punti-1656662/news/2017-04-06/.

¹¹ Sondaggi elettorali EMG, 17 October 2017, http://www.termometropolitico.it/1271193_sondaggi-elettorali-emg-m5s.html.

როგორც ერთმანეთთან დაპირისპირებული ალტერნატივები. რომი სავარაუდოდ პრაგმატულ გზას აირჩევს, რაც მის ყველა პარტნიორთან სავაჭრო და პოლიტიკური კავშირების მაქსიმალურად გაზრდას გულისხმობს.

მეორე მხრივ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმაც, შესაძლოა, მეტად განავითარონ იტალიასთან ურთიერთობები საერთო ინტერესის სფეროში თანამშრომლობის გზების მიხედვით. იტალიურ-ქართული ურთიერთობების შემთხვევაში, ეს მოიცავს სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და კულტურის სექტორში თანამშრომლობას, სადაც ორივე ქვეყანას ხანგრძლივი და კარგად ჩამოყალიბებული ტრადიციები გააჩნია. ევროკავშირის აღმოსავლეთ გაფართოების შედეგად, იტალიელ ტურისტებსა და იტალიურ ბიზნესს სულ უფრო და უფრო იზიდავს აღმოსავლეთ ევროპა. იმის პოტენციალი, რომ იმავე ეფექტის მიღწევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებშიც განხორციელდეს, დიდი, განსაკუთრებით, ისეთ იმედის მომცემ კონტექსტში, როგორც საქართველოა. იმდენად, რამდენადაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე ინფორმაცია იტალიაში შეზღუდულად აქვთ, ტურიზმისა და საგანმანათლებლო სექტორში ადამიანთა პირადმა კონტაქტებმა, შესაძლოა, დადებითი გავლენა იქონიოს ზოგად ურთიერთობებზეც. მაგალითად, იტალიური ტურიზმი საქართველოში შესაძლოა ქართული ტურიზმის გარკვეული სექტორების საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანის მექანიზმად იქცეს, მაგალითად, ტურისტებისთვის ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის გაცნობით. ეს კი გაზრდის ამ პროდუქტების მიმართ მოთხოვნას იტალიურ ბაზარზე.

წინსვლა ინსტიტუციებისა და კანონის უზენაესობის ხარისხში (რომელიც დღეს აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის სხვადასხვა დონეზეა) ასევე ძალიან სასარგებლო იქნება. მსგავსი განვითარებები გაზრდიდა დამატებითი იტალიური ინვესტიციების მოზიდვის შანსს რეგიონში და ხელს შეუწყობდა პოლიტიკურ თანამშრომლობას. მშვიდობიანობა და რეგიონის სტაბილურობა მნიშვნელოვანი წინაპირობებია და რომი მათ გასაუმჯობესებლად გაწეულ ყველა ძალისხმევას დააფასებს. ის მიდგომა, რომელიც ერთდროულად რუსეთთანაც და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობას ისახავს მიზნად და ამგვარად აქარწყლებს განახლებული რეგიონული კონფლიქტის პერსპექტივებს, ერთობ სასურველია იტალიის გადმოსახედიდან. ეს ყოველივე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ იტალია 2018 წელს ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანას წარმოადგენს. იტალიელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა უკვე განაცხადეს, რომ მათ სურთ თავმჯდომარეობა გამოიყენონ დიალოგისა და თანამშრომლობის მეშვეობით „ჰელსინკის ნამდვილი სულისკვეთების“ ხელახლა წარმოსაჩენად (იგულისხმება ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმება).¹² პრემიერ-მინისტრმა პაოლო ჯენტილონიმ გამოაცხადა, რომ უკრაინის კრიზისი და ეუთოს არეალში გაჭიანურებული კონფლიქტები იტალიის დღის წესრიგის სათავეში მოექცევა.¹³ აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ პარტნიორობის შესაბამისი ქვეყნების (ისევე, როგორც, ცხადია, რუსეთის) მხრიდან კონსტრუქციული დამოკიდებულება დადებითი გავლენას იქონიებს იტალიასთან პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

¹² იხილეთ <http://www.osce.org/chairmanship/330701>.

¹³ იხილეთ <http://www.osce.org/cio/257036>.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პუბლიკაცია მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს “საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის” და ფონდი “ღია საზოგადოება-საქართველოსა” შეხედულებებს.